ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №164332

ნომერი: AR148905

თარიღი : 07.05.2012

გაცემის თარიღი : 14.05.2012

გაცნობის თარიღი : 19.05.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბულაჩაური , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რობინზონ ხუტაშვილი პ/ნ 01002003165
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 13 ბ. 49

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომლითაც ითხოვთ არსებული ღია პარკინგის შემინვას და მისი ფუნქციის ცვლილებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საცხოვრებელ ზონებში მიწის ნაკვეთის და სხვა უძრავი ობიექტების სამშენებლო განვითარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მინიმუმ ერთი ავტოსადგომი ერთ საცხოვრებელ სახლზე. ამ ეტაპზე სარეკონსტრუქციო მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის პროექტირებისას სარეკონსტრუქციო ფუნქციური სტატუსი განპირობებული იქნა ზემოაღნიშნული ნორმების გათვალისწინებით. წარმოდგენილი წინადადებით კი იზღუდება კორპუსისათვის მიკუთვნილი პარკინგის არეალის ფართობი, აღნიშნულის განხორციელება კი არამიზნობრივია. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მიწისზედა ავტოფარეხი მიუხედავად მისი სიმაღლისა კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არ შედის; შესაბამისად ავტოფარეხის შემინვით გამოწვეული სათავსის ფუნქციის ცვლილება გამოიწვევს საპროექტო მიწის ნაკვეთისათვის მინიჭებული და სრულად ათვისებული კ2 კოეფიციენტის ზრდას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ დაცულ იქნას არსებული მდგომარეობით გათვალისწინებული პარკირების ზონა, მისი ფუნქციური დანიშნულების უცვლელად.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით არქიტექტურის სამსახური მოკლებულია თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge